ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

ქ.თბილისი 9 იანვარი, 2026 წელი

15[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ალექსანდრე ასათიანი
ირაკლი ბენდელიანი
კახა ბერაძე
ნოდარ ბოკერია
ბექა გელენავა
გიორგი გვენეტაძე
მარიამ გრიგოლიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ვაჟა კოკაია
ლალი კოლომიკოვი
კახაბერ ლაბუჩიძე
ბექა მენთეშაშვილი
გურამ ნიკოლაშვილი
არჩილ ნიჟარაძე
ბექა ოდიშარია
შალვა ოგბაიძე
ვალერიან პაპუაშვილი
შალვა პერანიძე
შალვა სუთიაშვილი
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფანჯაკიძე
გიორგი ქარდავა
შოთა ქევხიშვილი
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან ჭავჭანიძე
დავით ჭელიძე
დავით ხაბეიშვილი
ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ, მან 2026 წელი მიულოცა თბილისს და თბილისელებს და აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე დამტკიცებულ 2026 წლის ბიუჯეტში შედის მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც თბილისის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას უკავშირდებას. გაზრდილი ბიუჯეტი ასევე მოხმარდება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას და დედაქალაქის მასშტაბით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტება. „სწორედ თბილისისთვის სასიკეთო საქმეების კეთებისთვის ვართ ჩვენ აქ და ბიუჯეტის ზრდაც ამის ნათელი მაგალითია“- განაცხადა მან.

სხდომის თავმჯდომარემ, ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე, განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა:

კონსტანტინე ზარნაძე შეეხო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, „ახალი წლის დღეებში ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ შეიცვალა მსოფლიო წესრიგი - დარწმუნებული ვარ, მოვლენებიდან, რომლებიც მთელმა მსოფლიომ ნახა, საქართველოს მოსახლეობა სწორ დასკვნებს გამოიტანს“. “საბედნიეროდ, ქართველებს დღეს გვაქვს სახელმწიფო, რომელიც თავის სიმაღლეზე დგას. პროცესები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პარტის „ქართული ოცნების“ ნაბიჯები იყო აბსოლიტურად სწორი და მართებული იმისთვის, რომ უსაფრთხოდ და სტაბილურად იყოს ჩვენი ქვეყანა“. მან მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას და აღნიშნა, რომ „ყოველივე ამის ფონზე ჩვენი ქვეყანა იღებს უპრეცენდენტო მასშტაბის ინვესტიციებს, ეკონომიკურ ზრდას. კიდევ ბევრი ინვესტიცია შემოვა ამ ქვეყანაში და მის განვითარებას ხელს ვერავინ შეუშლის. მიმდინარე წელი იქნება საუკეთესო ამ ქალაქის ისტორიაში იმ მასშტაბური პროექტებიდან გამომდინარე, რომლებიც დედაქალაქში არის დაგეგმილი“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ თბილისის საკრებულომ მიხედოს თავის საქმეს, მიხედოს ქალაქს, რომლის სკოლებშიც 35% მშიერი ბავშვი დადის, ქალაქს, სადაც კორუფციაა, ქალაქს, სადაც ფასები კატასტროფულად არის გაზრდილი და სასურველია მიეხედოს ქალაქის პრობლემებს და გასაჭირს.

ნოდარ ბოკერიამ ისაუბრა სტატისტიკის მნიშვნელობაზე, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებმა უპრეცენდენტო მაჩვენებელს მიაღწია და 6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, მისივე თქმით, სავალუტო რეზერვების ზრდა ნიშნავს უცხოელი ინვესტორების მხრიდან ჩვენს ქვეყანაში არსებული ინსტიტუტებისა და ზოგადად, სიტუაციის მიმართ ნდობის გამოხატვას. მაგალითად მოიყვანა კომპანია „იგლ ჰილსის“ 6,6 მილიარდიანი ინვესტიცია. ასევე, შეეხო პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, რომელიც ფასების რეგულირებას უკავშირდება. როგორც მან აღნიშნა, საზღვრიდან დახლამდე ფასნამატი ხელოვნურად შეადგენს 86%, რაც, მათ შორის, სადისტრიბუციო ქსელებთან არის დაკავშირებული.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებაზე მილიონიან ტენდერებს, უკვე მე-5 წელია იგებს ერთი და იგივე კომპანია. არ არსებობს არანაირი კონკურენცია, “ შესაბამისად, არის გონივრული ეჭვი, რომ სატენდერო დოკუმენტაცია არ დგება სრულყოფილად, არ არის უზრუნველყოფილი კონკურენცია და შესაძლოა არარაციონალურად და არამიზნობრივად იხარჯებოდეს სახელმწიფო სახსრები“.

გიორგი გვენეტაძე დაინტერესდა, ორი კვირის წინ დამტკიცებულ ბიუჯეტში რატომ გახდა საჭირო, უმოკლეს დროში ცვლილებების შეტანა. ისაუბრა ქალაქში არსებულ საცობებზე და ისურვა, რომ ქალაქის საკრებულომ მიხედოს ქალაქის პრობლემებს და მოგვარდეს პარკირების პრობლემა.

შალვა ოგბაიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე, რომელიც თბილისის სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას ეხება, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ბავშვების უსაფრთხოდ და ღირსეულად გადაადგილება. „რეფორმის შემდეგ, რაც სკოლების ინფრასტრუქტურის ნაწილი მუნიციპალიტეტს გადმოეცა, დაემატა პროგრამა ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი. აუცილებელია, მხარი დავუჭიროთ ამ მართლაც კარგ გადაწყვეტილებას“-განაცხადა მან.

ზურაბ ჩიკვილაძემ მიმართა ვახტანგ სურგულაძეს და განაცხადა: „ვერაფრით დაგეთანხმები, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილობენ. აბსურდია, საქართველოში ბავშვები არ შიმშილობენ და არც იშიმშილებენ“.

გიორგი ქარდავა შეეხო მიგრანტების თემას და გულისტკივილი გამოთქვა ახალი წლის ღამეს თბილისის ქუჩებში არსებულ მდგომარეობაზე, როცა აფრიკიდან და აზიიდან ჩამოსულები ჭარბობდნენ ადგილობრივებს. საქართველო ტურისტული ქვეყანაა, მილიონობით ტურისტი შემოდიოდა ქვეყანაში, მაგრამ რაც ეხლა ხდება, ეს მეტწილად არაბული ქვეყნების მიერ წარმოებული ინვესტიციების შედეგია. „300 ათასი უცხო ქვეყნის მოქალაქეს აქვს ბინადრობის უფლება და ცხოვრობს საქართველოში, ეს, ძალიან დამაფიქრებელია“. -აღნიშნა მან.

ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ კომპანია „იგლ ჰილზის“ 6 მილიარდიანი ინვესტიცია არის წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანაში ასეთი ბრენდის შემოსვლას სხვა ინვესტორებიც მოყვებიან. ასევე, აღნიშნა, რომ საქართველო ტურისტული ქვეყანაა და პრობლემას არ წარმოადგენს, რომ ტურისტულ ქვეყანაში ნებისმიერ ტურისტს შეუძლია ჩამოსვლა. ბექა დავითულიანის აზრით, „არც ისაა პრობლემა, რომ უცხოელების 7-8 პროცენტს დროებითი მცხოვრების სტატუსი აქვს“.

1."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, ცვლილება განპირობებულია იმით, რომ გარდამავალი ნაშთიდან იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. თბილისის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯების გარდა, გაზრდილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი:

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი